საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/79

ქ. ბათუმი 16 სექტემბერი, 2021 წ.

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 18 აგვისტოს N01-10/72 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგად ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილებისა და ,,ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 18 აგვისტოს N01-10/72 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 18 აგვისტოს N01-10/72 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგად ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს **საკონკურსო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

   ა) ჟანა ჯიბლაძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) გიორგი დიასამიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;
   გ) ხათუნა აფაქიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;
   დ)მარიამ მამულაძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი.

2. ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კომისიის სხდომა გაიმართოს 2021 წლის 20 სექტემბერს, 16:00 სთ-ზე, აუდიტორია N13 (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.N35, კორპუსი N1, I სართული);
3. საკონკურსო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს კონკურსანტების ინფორმირება გასაუბრების თარიღისა და დროის შესახებ, კონკურსანტების მიერ მითითებული საკონტაქტო საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით.
4. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების (კანცელარია) სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ი. ჩხარტიშვილი